



ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დამხმარე პერსონალის შრომითი ხელშეკრულება

ქ. ბათუმი

---. ---. 2012 წ.

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, წარმოდგენილი რექტორის პირველი მოადგილის _____ სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი ----- მცხ. ----- პირადობის მოწმ. -----, პირადი -- ----- (შემდგომში „დასაქმებული“), ვმოქმედებთ რა საქართველოს შრომის კოდექსითა და საზღვაო აკადემიის შიდა ნორმატიული აქტებით, შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. დამსაქმებელი ასაქმებს, ხოლო დასაქმებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ასრულებს შემდეგ შრომით საქმიანობას - -----

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება იდება ხუთი დღის ვადით; (----- დან -----) მხარეები შეთანხმდნენ, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებენ ხელშეკრულებას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

დასაქმებული ვალდებულია:

1. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით;



2. არ გაამყდევნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. გაუფრთხილდეს აკადემიის ქონებას, უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის და მატერიალური ფასეულობის ჯეროვანი დაცვა, უზრუნველყოს მისი უსაფრთხო გამოყენება და შენახვა.

4. შეასრულოს სამუშაო ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

5. კანონით გათვალისწინებული წესით, ნატურით ან ფულადი სახით, აანაზღაუროს დასაქმებულისათვის მისი ბრალით მიყენებული ზიანი,

6. დაიცვას აკადემიის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დასაქმებულს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს მუშაობისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

დამსაქმებელს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს დასაქმებულისაგან წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენოს დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საწყციები ან წახალისების ფორმები.

დამსაქმებელი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.

2. სრულად მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესით აუნაზღაუროს დასაქმებულს გაწეული შრომა.



4. დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლების პირობები

1. დამსაქმებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება დასაქმებულთან, შემდეგ შემთხვევებში:
 - ა. დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა;
 - ბ. დასაქმებულის ქმედუნარიობა, შრომისუნარიობა;
 - გ. სამსახურში ზედიზედ 2 დღით არასაკმარისი მიზეზით გამოუცხადებლობა;
 - დ. სამსახურში ნარკოტიკული ან ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში გამოცხადება ე. აკადემიის ქონებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის შექმნა ან ზიანის მიყენება.
2. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ხელშეკრულების ვადამდე მოშლა.

5. შრომის ანაზღაურება

1. შრომითი ანაზღაურება დასაქმებულზე გაიცემა ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდგომ, სამუშაოს შესრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამი დღის ვადაში.
2. ანაზღაურება განისაზღვრება ----- (-----) ლარის ოდენობით.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით.



7. დასკვნითი დებულებები

1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და აკადემიის შიდა ნორმატიული აქტებით.
2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.
3. მხარეები მათ შორის წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემის მოგვარებას ეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შეთხვევაში დავა შეიძლება გადაწყდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ.
4. მხარეები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შესახებ.



“დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

რექტორის პირველი მოადგილე

-----/ /

მისამართი: ბათუმი 6010,

რუსთაველის გამზ. 53;

Website: www.bsma.edu.ge;

E-mail: info.mf@bsma.edu.ge;

ტელ./ფაქსი: (995 422) 27 53 88.

პირადი ნომერი №-----

პირადობის მოწმ. ნომერი №-----

მისამართი:-----

ტელ: -----

----- ბანკი -----

ანგარიშის ნომერი
